



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

საქართველოს კანონი „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“

2019 წლის 30 ოქტომბრიდან „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლასთან ერთად, ძალადაკარგულად გამოცხადდა 2003 წლის კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“. ახალი კანონის მიღება განაპირობა „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე“ 2015 წლის 20 მაისის ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს მეოთხე (2015/849) დირექტივის, აგრეთვე „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (ვარშავის კონვენცია) შესაბამისად მასშტაბური ცვლილებების მიღების საჭიროებამ. ცვლილებებით უფრო დეტალურად იქნა განმარტებული ტერმინების ნორმატიული მნიშვნელობა, აგრეთვე განისაზღვრა ახალი ტერმინები (როგორცაა ერთჯერადი გარიგება, საქმიანი ურთიერთობა, კლიენტის ვერიფიკაცია). ანგარიშვალდებულ პირთა სიას, რომელიც წინამორბედ კანონში „მონიტორინგის განმახორციელებელი პირების“ სიის ეკვივალენტურია, დაემატა დაზღვევის/გადაზღვევის ბროკერი, საადვოკატო ბიურო და სერტიფიცირებული ბუღალტერი. ცვლილებები შეეხო აგრეთვე ზედამხედველობის, პრევენციული ღონისძიებებისა და ინფორმაციის მიწოდების მარეგულირებელ დებულებებსაც.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ანალიტიკური სახელმძღვანელო გამოსცა

ბრძანებით N202/04 (2019 წლის 25 ოქტომბერი) დამტკიცებული სახელმძღვანელო ეფუძნება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ ეროვნულ კანონმდებლობას, აგრეთვე ითვალისწინებს ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (Financial Action Task Force - FATF) და ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ სტანდარტებსა და რეკომენდაციებს, რომლის მიზანია ეროვნული ბანკის დაქვემდებარებაში მყოფი მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისთვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის სათანადო სისტემის შემუშავებაში დახმარება.

სახელმძღვანელო განსაზღვრავს ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებსა და მათი შეფასების არსს, აგრეთვე მის ძირითად კომპონენტებს, ისევე, როგორც გამოვლენილი რისკების ეფექტიანი მართვის პროცესის ორგანიზებას და შედეგების დოკუმენტირების წესებს.

საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება

2019 წლის 21 ოქტომბერს დიდ ბრიტანეთში, ქალაქ ლონდონში ხელი მოეწერა „საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას“, რომელიც ხელმოწერ კვეყნებს შორის თანამშრომლობის პირობებს განსაზღვრავს. შეთანხმება ძირითადად იმეორებს და ანაცვლებს 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილ საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებას.

შეთანხმების ხელმოწერა განპირობებულია დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებით. ხსენებული დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით თანამშრომლობის შესახებ დებულებებს: საერთო ფასეულობების განმტკიცება და დაცვა; საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება; დარგობრივი პოლიტიკის მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა და ვაჭრობა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩანაცვლებას.

სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 12 თებერვლის განჩინებაში საქმეზე Nას-1251-1191-2014 იმჯელა საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 1² ნაწილის საფუძველზე დადებული მოკლევადიანი (1 წლამდე) ხელშეკრულებების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 1² ნაწილის თანახმად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შრომითი ხელშეკრულების ვადაა 1 წელი ან მეტი, შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იდება მხოლოდ მაშინ, როცა: ა) შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო; ბ) შესასრულებელია სეზონური სამუშაო; გ) სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება; დ) ხდება შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველზე სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება; ე) არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას. მოცემული ნორმის დისპოზიციის შესაბამისად, თუ შრომის ხელშეკრულება ერთ წლამდე ვადით იდება, მისი ნამდვილობის წინაპირობაა ვადის განსაზღვრის ობიექტური საფუძვლის არსებობა. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, რადგან ვადის განსაზღვრის დასაშვებობა უნდა შემოწმდეს ხელშეკრულების დადების მომენტში, ობიექტური საფუძველიც უნდა დადგინდეს ხელმოწერამდე.

სასამართლოს მსჯელობის თანახმად, თუკი შრომითი ხელშეკრულების დადების მომენტშივე არ არის განსაზღვრული და მასში არ არსებობს პირდაპირი დათქმა იმ გარემოებების შესახებ, რომელთა გამოც ხელშეკრულება 1 წელზე ნაკლები ვადით იქნა დადებული, ვადის შესახებ ჩანაწერი უნდა შეფასდეს, როგორც დაუსაბუთებელი დებულება და გამოცხადდეს ბათილად, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს იმას, რომ ასეთი ხელშეკრულება გახდება განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 312 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.